

ଲୋଞ୍ଜାଙ୍ଗ

თეა თოფურია
გასაღვიძებელი ზღაპრეპი

მხატვარი: ია გიგოლაშვილი

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2011, 2024
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-833-3

www.diogene.ge

თეა თოფურია

გასაღვიძებელი

გლაპრები

კლასგარეშე საკითხავი
(6-9 წელი)

სარჩევი

გასაღვიძებელი ზღაპრები	7
გაცელა.....	13
როგორ მოიპარა ქურდმა საათი	18
როგორ იბადებიან ბავშვები	23
8	28
როგორ იბადებიან ბავშვები 	33
მართას დის ავადმყოფობა.....	36
ანდრია, ანუ ბიჭი, რომელსაც თავისი დაბადება ახსოვდა.....	39
სულელი უფლისწული და ცი-ჩი	52
შეყვარებული გოგო და საათები	59
ყვავილჭამია ცხვრები, ანუ შეყვარებული გოგონას მოყოლილი ამბავი	65
მაძებარი მშობლები.....	69
ხუთშაბათი, 8 საათი.....	73
ხუთშაბათი, 8 საათი 	78
კიდევ ერთი ამბავი სიყვარულზე.....	89
დუღუმბა, დუღუმბა.....	93
ფრინველი, რომელმაც მირაჟი დაინახა	98
გამოცდები	103
ღარიბი კაცის ზღაპარი	109
დედაბერი, რომელსაც ტანსაცმელი უკუღმა ეცვა	117
ზღაპრის დასასრული	121
მშობლების ამბოხი	123
არეული დრო	127
ლომის დეეტა, ანუ როგორ დამთავრდა ეს ზღაპარი	131
კიდევ ერთი დასასრული	134

გასაღვიძებელი ზღაპრები

ეს ზღაპრები იმათთვისაა, ვისაც ძილი უყვარს და ამის გამო ბალში ან სკოლაში უგვიანდება. იკითხება დილაუთენია, ხმამაღლა და მკაფიოდ. თუ თქვენმა შვილმა მაინც არ გაიღვიძა, შეგიძლიათ, ცივი წყალი გადაასხათ. იქ, სადაც ეს ამბები ჩავიწერე, ხანდახან ძალიან ცხელოდა და დედებიც შვილებისთვის გადასასხმელ წყალს მთელი დღე აცივებდნენ.

ერთ სახლში ცხოვრობდნენ დები – მართა და მართას და. მართა გათხოვილი იყო და ბევრი შვილი ჰყავდა. მართას და არ იყო გათხოვილი. მართა დილით რომ ადგებოდა (ადგებოდაო, იმიტომ ვამბობ, რომ წესია ასეთი, თორემ საერთოდ არ ეძინა), მაშინვე ღვეზლების

ცხობას იწყებდა. უზარმაზარი ღუმელი ჰქოდა, ღუმელ-ზე ერთ კუთხეში ყოველთვის იდგა ჩაიდანი, მეორეში კი – ქვაბი.

ეს მართა...

რაც შეეხება მის დას, ის, როგორც ვთქვით, გათხოვილი არ იყო და დიდად არც საოჯახო საქმეები ეხერხებოდა. სანაცვლოდ, ყველა გასაღვიძებელი ზღაპარი, რომელსაც მე ახლა უნდა მოვყვე, მისი მოგონილია. ისიც, მართასი არ იყოს, დილაუთენია დგებოდა, ოღონდ, მართასგან განსხვავებით, მანამდე გულიანად ეძინა ხოლმე. ჩაიცვამდა და თავის დისშვილებს ჩამოუვლიდა. ჯერ იმას მოუყვებოდა ზღაპარს, ვინც ყველაზე ადრე იყო ასადგომი. ვისაც არსად ეჩქარებოდა – საერთოდ გამოტოვებდა.

იმის გამო, რომ მართას გარდა სხვა დედებსაც ჰყავდათ შვილები და, რა თქმა უნდა, ისინიც ძილისგუდები იყვნენ, მართას და მთელი დილა ერთი სახლიდან მეორეში გადადიოდა ბავშვების გასაღვიძებლად. ბავშვების სახელები და მისამართები ზედ კაბაზე ეწერა. ესეც იმიტომ, რომ მშობლები, სადაც არ უნდა



დაენახათ, ქუჩაში, მაღაზიაში თუ ავტობუსში, მიადგებოდნენ და სთხოვდნენ, ჩემი მისამართი ჩაიწერე და ბავშვის გასაღვიძებლად მოდიო. იმის გამო, რომ მართას დას ხელჩანთის ტარება არ უყვარდა (ხელჩანთის მაგივრად, როგორც წესი, იხვი დაჰყავდა. თუ რატომ, ამაზე – მოგვიანებით), არც უბის წიგნაკი ჰქონდა, მისამართი რომ ჩაენიშნა, ამიტომ პირდაპირ ტანსაცმელზე მიიწერდა ხოლმე. რადგან ჯერ კიდევ არ იყო გათხოვილი, უფრო მეტად იპრანჭებოდა – ტანსაცმელსაც დღეში რამდენჯერმე იცვლიდა, მაგრამ ბოლოს ისე დაიღალა კაბებსა და მასურებზე მისამართებისა და ტელეფონის ნომრების ძებნით, რომ ორი წითელი კაბა იყიდა და მუდმივად იმით დადიოდა, ხან ერთი ეცვა, ხან – მეორე. ორი იმიტომ დასჭირდა, რომ სანამ ერთს გარეცხავდა, მისამართებს მეორეზე გადაწერდა ხოლმე.

მართასთვის რომ გეკითხა, მისი და ახირებულის დაუსაქმურის ერთი იყო. როგორც წესი, არავინ ეკითხებოდა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ...

– მართა, რას ფიქრობ შენს დაზე?

– ახირებულის და უსაქმურის ერთია. აბა, მარტო ის წარმოიდგინეთ, რამდენ დროს ხარჯავს ერთი კაბი-დან მეორეზე მისამართების გადაწერაში. ერთ საათს! ამ დროში სამ ბავშვს დავბანდი და ორმოცდაათ ღვე-ზელს გამოვაცხობდი.

თუმცა, რატომ წითელი?

ანუ მე ისევ იქ ვარ, მართას დამ რომ ორი წითე-ლი კაბა იყიდა. ჯერ ერთი, წითელ ფერზე მისამართები ადვილად ემჩნეოდა, მეორეც – გაცილებით ადვილად იღვიძებ, თუ დილაუთენია თავზე წითლებში ჩაცმული ადამიანი დაგადგება, თანაც იხვით. ხომ ვთქვი, იხვი დაჰყავდა-მეთქი, ესეც გასაღვიძებლად. შეიძლება ვინ-მემ იფიქროს (მართაზე ადრე ვინ იფიქრებდა), თუ მაინ-ცდამაინც, მამალი წაეყვანაო, მაგრამ მამალი სამჯერ დაიყივლებდა და გაჩუმდებოდა, იხვი კი ისე გულის-გამანვრილებლად და მონოტონურად ყიყინებდა, რომ გაბეზრებული ბავშვები ადრე თუ გვიან საბნიდან გა-მოძვრებოდნენ ხოლმე. აბა, წარმოიდგინეთ, როგორი მოსასმენია: „იყო და არა იყო რა... ყი, ყი, ყი, ყი... ერთ სოფელში, რომლის სახელიც არავინ იცის... ყი, ყი, ყი,

ყი... უფრო სწორად, სახელი კი იცოდნენ, მაგრამ ვერ
დაიმახსოვრეს... ყი, ყი, ყი, ყი... შინაურმა და გარეულ-
მა ცხოველებმა ადგილები გაცვალეს... ყი, ყი, ყი, ყი...“

ძალიან ძნელი მოსასმენია და ამიტომ მე მართას
დის ამბებს უყიყინოდ მოვყვები, თუმცა თქვენ მაინც
იგულისხმეთ ხოლმე, ხანდახან კი თვითონაც მოგაგო-
ნებთ.

მაშ ასე, გახსოვდეთ, რომ იხვი ყიყინებს და დავიწ-
ყოთ.

გაცვლა

ერთ სოფელში, რომლის სახელიც არავინ იცის, უფრო სწორად, სახელი კი იცოდნენ, მაგრამ დაავიწყდათ, შინაურმა და გარეულმა ცხოველებმა ადგილები გაცვალეს. ეს რევოლუციური ამბავი იმით დაიწყო, რომ ლომა დაიღრიალა. საერთოდ, იცოდეთ, რომ ყველა რევოლუცია ვიღაცის ღრიალით იწყება, ამ შემთხვევაში, კი ეს ვიღაცა ლომი იყო.

— ღღრრრრრრრრ!

არა, ლომები, ალბათ, სხვანაირად ღრიალებენ, მაგრამ რადგანაც აფრიკაში არასოდეს ვყოფილვარ და არ მომისმენია, თავს ვერ დავდებ. ყოველ შემთხვევაში ამ ზღაპრისთვის ასეთი ღრიალიც გამოგვადგება.

ჰო, რაც მთავარია! ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ტყეში ხდებოდა, მაგრამ მთლად ჩვეულებრივ ტყეში არა. აქ იზრდებოდა ხეები, რომელთა ჩრდილში მოხვედრილი ადამიანი ძალაუნებურად ფიქრსა და აზროვნებას იწყებდა. ეს იქვე მცხოვრებ გლეხებსაც ჰქონდათ შემჩნეული და ბავშვებს გამოცდების წინ ტყეში აგზავნიდნენ შეშის მოსაგროვებლად. ამ ხეების გამო ტყეში ცხოველებიც მუდმივად ჩაფიქრებულები დადიოდნენ. ზოგმა საკუთარ თავთან ლაპარაკიც კი დაიწყო. ჯერ ის ცხოველი წარმოიდგინეთ, რომელიც ლაპარაკობს და ახლა საკუთარ თავთან მოლაპარაკე ხომ საერთოდ...

ამას იმიტომ ვამბობ, რომ მერე არ გაგიკვირდეთ, თუ რატომ მოჰყვა ამხელა ამბავი ლომის ერთ დაღრიალებას. ნებისმიერ სხვა ტყეში ლომის ღრიალს ყურადღებას არავინ მიაქცევდა, მაგრამ აქ ყველაფერი სალაპარაკო ხდებოდა და ცხოველებმაც კამათი დაიწყეს, რატომ დაიღრიალა ლომმა.

- მე მგონია, რაღაც აწუხებს, – თქვა მგელმა.
- რა უნდა აწუხებდეს ლომს? ლომი ვიყო, ცოლსაც კი არ მოვიყვანდი, – თქვა მაიმუნმა.



– ჩემი აზრით, ყველანაირი სევდა იქიდან ჩნდება, რომ არ გაფასებენ! – დაასკვნა ფარშევანგმა.

გველსაც უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ, რადგან მუდმივად ხის ჩრდილში კი არა, მზეზე იწვა, ლაპარაკი ჯერ არ იცოდა.

მოკლედ, დაღრიალებიდან ერთი საათიც არ იყო გასული, ტყის ბინადრები ასეთ დასკვნამდე მივიღნენ: ლომს ნამდვილად ის ანუხებს, ჩვენ გარეული ცხოველები რომ გვქვია, შინაურებს კი შინაურებიო და გადაწყვიტეს, შინაური ცხოველებისთვის ადგილი გაეცვალათ.

მეორე დღეს სოფელმა რომ გაიღვიძა, შინაური ცხოველების მაგიერ სახლში უკვე გარეულები დახვდა. გაღვიძებით კი ასე გაიღვიძეს – რადგან მამალი უკვე აღარ იყო, ყველას საძინებელში ბეჟემოთი შევიდა და ფეხების ბრაგუნი ატეხა. დაფეხებული ხალხი შიშველი გამოვარდა სახლებიდან. მანამდე არავინ შებრუნებულა, სანამ ბეჟემოთმა საქათმეს არ მიაშურა.

ის-ის იყო, მოსულიერდნენ და ძროხების მოსაწველად წავიდნენ, რომ აღმოაჩინეს, ზოგ ბოსელში ჟირაფი იყო დაბმული, ზოგში – მარტორქა და ასე შემდეგ.

„და ასე შემდეგ“ ნიშნავს, რომ საღორეში გოჭის ნაცვლად ზღვის გოჭი იყო, სახლს ძაღლის ნაცვლად ყვავი სდარაჯობდა, საბუდარში კუს კვერცხები ეწყო, ხარის მაგივრად კი ბოსელში მელია, მაჩვი, ზღარბი, მაჩვიზღარბა და იხვი დახვდათ.

არა, არა, იხვი ბოსელში არ დახვედრიათ. ეს, უბრალოდ, შეგახსენეთ, რომ სანამ ამ ამბავს ვყვები, თან იხვი ყიყინებს.

როგორ მოიპარა ქურდმა საათი

ამ სოფელში, ისევე როგორც სხვა ყველაში, ქურდიც ცხოვრობდა. სოფელს, სულ ცოტა, ორი ქურდი მაინც ჰყავს ხოლმე, მაგრამ ამ სოფელს მხოლოდ ერთი ჰყავდა და ამის გამო ძალიან ცუდ დღეშიც იყო. თუ რამე დაიკარგებოდა, მაშინვე მას მიადგებოდნენ ხოლმე. ქურდი ისე შეწუხდა, ერთი პირობა ქურდობას საერთოდ გადაეჩვია და მარტო საკუთარი ბოსტნიდან იპარავდა ბოსტნეულს.

საკუთარი ბოსტნიდან რამის მოპარვა ადვილი საქმე არ გახლდათ. ძალიან ძნელია, ისე მოიპარო რამე, თვითონ ვერაფერი შეამჩნიო. ამიტომ ლამით ძილ-ბურანში

ადგებოდა ხოლმე და ბოსტანს მიაშურებდა. რამეს მოიპარავდა, დამალავდა და ძილს აგრძელებდა. ეს ზაფხულობით ზამთრობით სახლშივე იპარავდა ნივთებს, რადგან ერთხელ შუა თოვაში შიშველმა რომ გააბიჯა, მაშინვე გამოფხიზლდა.

მეორე დილით ქურდს საკუთარი თავგადასავალი ბუნდოვნად ახსოვდა და მთელ დღეს იმაზე ხარჯავდა, როგორმე თავისივე მოპარული ნივთი ეპოვა.

ის იყო, ქურდი ქურდობას თითქმის გადაეჩვია, როცა სოფელში შინაურმა და გარეულმა ცხოველებმა ადგილები გაცვალეს, ანუ ახლა სახლებს ძალლების მაგივრად ყვავები სდარაჯობდნენ.

ქურდი სკამზე დაჯდა და ამოიხრა. არა, მშვენივრად იცოდა, რამე რომ მოეპარა, მაშინვე მთელი სოფელი მისკენ გაიშვერდა ხელს, მაგრამ, ვინ იცის, კიდევ როდის დადგებოდა ასეთი ხელსაყრელი დრო.

ქურდი მეორე სკამზე გადაჯდა და ახლა იქ ამოიხრა.

მერე მესამეზე გადაჯდა, მერე – მეოთხეზე.

ბოლო სკამზე რომ იჯდა და ოხრავდა, დაბნელდა კიდეც და, რადგან უკვე ყველა სკამი მოვლილი ჰქონ-

და, ქურდმა პირდაპირ მეზობლის ეზოს მიაშურა რამის მოსაპარად.

ბუდრუგანის პირას ყვავი იწვა და კუდის ქიცინში ვარჯიშობდა. დაინახა თუ არა ქურდი, მაშინვე წამოფრინდა.

— ყვა!

ქურდმა სახლიდან წამოლებული საკენკი დაუყარა. ყვავმა არ შეიმჩნია.

— ყვა, ყვა... — და ჩაუნისკარტა.

ქურდმა შეუბლვირა, სახლში შევიდა და კედლიდან საათი ჩამოხსნა. გარეთ რომ გამოდიოდა, ყვავი საათს დააფრინდა. ქურდმა კი იძახა, ქში, ქშიო, მაგრამ მაინც ვერ მოიშორა თავიდან და ასე ყვავიანად მიაშურა საკუთარ სახლს. საათი თავის კედელზე რომ ჩამოკიდა, ყვავი არც მაშინ გაფრენილა. პირიქით, ჯერ საათის თავზე შემოჯდა, მერე კი შიგ შეძვრა და ყოველ საათში გუგულის მაგივრად გამოფრინდებოდა ხოლმე. მაგრამ გუგული თუ გუ-გუს იძახდა, ეს მხოლოდ ყრანტალებდა. აბა, როგორ მოსასმენია: